№ 112
შაბათი, 30 მაისი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 112
შაბათი, 30 მაისი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კვირას, 31 მაისს, შუადღის 12 საათზედ, ქაშუეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი

**ალექსანდრე რონინაშვილის**

სულის მოსახსენებლად. რასაც ვასილ რონინაშვილი და გაიანე წიკლაურისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულისას.
(2—უ.—1)

**სახაზინო ახალ თეატრში**

პირველად ქართული წარმოდგენა
**კვირას, 31 მაისს,**
ქართულ თეატრის არტისტები **ვ. აბაშიძის** და **ყიფიანის** მონაწილეობით გამართავენ მხოლოდ ერთს წარმოდგენას.
წარმოდგენილი იქნება

I

**და-ძმა**

დრამა 5 მოქმ. კ. გუნიასი.

II

**ბარაქალა მასწავლებელო**

კომ. I მოქმ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, საყვარელიძე, ვ.ვ. აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, მჭედლიშვილი და სხვ.
ადგილების ფასი დაკლებულია
ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტრი.
დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. ადმინისტრ. ივ. მჭედლიშვილი

**მცხეთა.**

31 მაისიდგან ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურის მახლობლად გამართული

სასეირნო ბაღი

**არმაზი**

(გრიგოლ ბეჟანოვის აგარაკში)

ღია იქმნება მუდამ დღე

ბაღში გამართულია: სასტუმრო, რომელშიაც იქნება როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარ-გარეთის სასმელები; სამზარეულო, სადაც მზადდება ევროპიული და ადგილობრივი საჭმელები; როტონდა; აუზი ცოცხალის თევზით და წყარო. ცუდის ამინდის დროს თავშესაფარებლად გამართულია ოთახები, ბაღში ფარდულებიცაა; ბაღი ჰშორავს სადგურს 200 საჟ. დასავლეთის მხრივ. სასტიკად იქმნება დაცული მშვიდობიანობა და წესიერება.
(2—ნ.—1). გ. ჩხარტიშვილი.

**მეაგარკეთა საყურადღებოდ**

**ქ. თელავში** ნადიკვარზედ მთელის ზაფხულის განმავლობაში (7-ს თიბათვიდგან 1-ს ენკენისთვემდის) **გაიცემა ქირით** სამი ოთახი, დიდის ბალკონით, სამზარეულოთი, საკუთარის ეზოთი, პატარა ხეხილიანის ბაღჩით, რომელშიაც არის წმინდა წყლიანი ჭა პირსაბანითა; მიეცემა სამზარეულო ავეჯეულობა, ქვაბებით, საავარაკოდ საკმარისი სახლის ავეჯი და ჭურჭელი.
მსურველთ მიჰმართონ ამ ადრესით: Въ Телавъ, И. Зарапишвили.
(15—უ.—8)

**პირველი კერძო სამკურნალო**
ექიმის ნავასარდიანისა
(ქუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

**ი. თ. შროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. ბ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. ბურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

რადგანაც 13 ამ თვისას დანიშნული

წლიური

**საერთო კრება**

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ, საზოგადოების წესდების მე 15 §-ის თანახმად, კრება ხელმეორედ დანიშნულია 30 მაისისათვის, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1897 წლისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1898 წლისათვის.

4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

5, არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა.

6, არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა.
(3—უ.—3)

**ვკისრულობ**

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველირობას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნექკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.
**ტელეფონი** № 567.
(50—80—24).

**მთავრობის განკარგულებანი**

დათხოვნილ იქმნა, ავადმყოფობისა გამო თანამდებობიდგან — მილიციის პრაპორშჩიკი ბორის კოჩიჩიძე.

დანიშნულ იქმნა: მღვდლის შვილი ემელიან რობაქიძე ბათუმის ოლქის, ზემო აჭარის ნაწილის თარჯიმნის თანამდებობის აღმასრულებლად.

# ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნატორად ნამყოფის თავ. გ. დ. შერვაშიძის მიერ შემუშავებული პროექტი სოფლებში სასოფლო-სამეურნეო თანხის დაარსებისა დიდად მოიწონა კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ და საცდელად პროექტი განხორციელებულ იქმნება ჯერ ტფილისის გუბერნიაში და შემდეგ შემოიღებენ ამიერ-კავკასიის სხვა გუბერნიებშიაც. ამ ჟამად პროექტი ელის დამტკიცებას უმაღლესის მთავრობისაგან.

*** ამ დღეებში განსაკუთრებულმა კომისიამ ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლის თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის თავმჯდომარეობით, მაზრების წინამძღოლთა და თავად-აზნაურთა დეპუტატების თანადასწრებით მოილაპარაკა იმ საერთო სათავად-აზნაურო საურთიერთო დამხმარებელ კასსის დაარსების პროექტის შესახებ, რომელიც გამოგზავნილ იქმნა პეტერბურგიდგან. კომისიამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ნუ იქმნება დაარსებული ამ გვარი კასსა, რადგან იგი უფრო დაეხმარება მამულების დაცილებას და ვერ განახორციელებს იმ აზრს, რომ დავალიანებული მამულები ისევე თავად-აზნაურობის ხელში იქმნას დატოვებულიო.

*** მომავალ შემოდგომას სახელმწიფო საბჭომ უნდა განიხილოს 1891 წლის 3 ივნისის დებულება ხიზანთა შესახებ. განზრახვა აქვთ ხიზნებად ჩასთვალონ ის გლეხნიც, რომელთაც ხსენებულ დებულების გამოცემამდის შეუძენიათ მამული სახიზანო უფლებით და არა მხოლოდ ისინი, რომელნიც ხიზნებად იქმნენ ჩათვლილნი გლეხთა განთავისუფლებასა და კავკასიის „ნამესტნიკად“ მყოფის მიერ ხიზანთა შესახებ გამოცემულ განკარგულებამდის.

*** რადგანაც ხშირად ბორჯომსა და ტფილისს შუა მოსიარულე მატარებლები ხალხს ველარ იტევენ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ კვირა-უქმეების წინა დღეებში ბორჯომსა და ტფილისს შუა ერთი მატარებელი კიდევ დადიოდეს. ტფილისიდგან ეს მატარებელი ნაშუადღევის 3 საათსა და 30 წუთზედ გავა, ხოლო ბორჯომიდგან მეორე დღეს ნაშუადღევის 2 საათსა და 30 წუთზედ გამოვა.

*** ამ ჟამად ქ. სოხუმში კრება აქვს სოხუმის ეპარქიის სამღვდელოებას. კრებას, სხვათა შორის, განსახილველად წარედგინება ის, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს სოხუმის სამღვდელოებამ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის შენახვის საქმეში.

*** იმ კომისიამ, რომელიც დაარსებულ იქმნა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის მიერ ფილოქსერის ელექტრონით წამლობის გეგმის შესამუშავებლად, 28 მაისის კრებაზედ დაადგინა, სცადოს და რამდენჯერმე უწამლოს ელექტრონით საქარის სანერგეში ავადმყოფ ვაზს იმის შესატყობად, თუ რა ძალაა საჭირო, რომ ფილოქსერა მოკლულ იქმნას. ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად საჭიროა 1000 მან.

*** ნავთსადგური გელენჯიკი, რომელიც შავის ზღვის ნაპირზედ, ნავთსადგურებს ტუაპსესა და სოჩას შუა არის, დღითი დღე იზრდება და სავაჭრო ქალაქად ხდება. ამის გამო რუსეთის ზღვაოსნობის და ვაჭრობისა და აზოვის ზღვაოსნობის საზოგადოებებმა თანხმობა განაცხადეს, რომ ამ ნავთსადგურსა და სხვა ნავთსადგურებს შორის მიმოსვლა გამართონ.

*** ამ ჟამად ბელგიის ერთს მეაქციეთა საზოგადოებას შუამდგომლობა დაუწყია რუსეთის მთავრობის წინაშე, რომ „გურიაში მთა-მადნის წარმოებისა და გურიაში მთა-მადნის შესამუშავებლად დაარსებულ მეაქციეთა საზოგადოების“ წესდება დამტკიცებულ იქმნას, რადგანაც ამ საზოგადოებამ მოქმე უნდა დაიწყოს ამიერ-კავკასიის დასავლეთ მხარეშიო.

*** ერევნიდგან გვწერენ, რომ პატიოსანის მოღვაწის, უდროოდ გარდაცვალებულის ალექსანდრე სოლომონის ძის რონინაშვილის სიკვდილმა დიდად დაგვაღონა ერევანში მცხოვრები ქართველი საზოგადოებაო.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ ოლთისის ოლქის უფროსი დრაჩევი დანიშნულ იქმნება გორის მაზრის უფროსად; ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი ტუტევიჩი—ბაქოს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგად; ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგი დრუევიც-კოვაჩი—იმავე სასამართლოს წევრად; ქუთაისის გუბერნიის ინჟენერი სლიუჟინსკი—დაღესტნის განყოფილების სამუშაოს უფროსად და გადაყვანილ იქმნება: ბაქოს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი ფერსმანი—ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგად და ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი იუზვინსკი ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრადაო.

*** ს. ვაქირი, (სიღნაღის მაზრა). დეკანოზ სვიმონ ბეგიაშვილის, მღ. იოსებ თუქუმაშვილის და მღ. სვიმონ შანშიაშვილის მეცადინეობით

დაარსდა ნათლის მცემლის ტაძართან საეკკლესიო წიგნთსაცავი-სამკითხველო და შემოიზღუდა ტაძრის გარემო მოედანი, რისთვისაც მადლობის ღირსნი არიან ეს მამანი. ვისურვებთ, რომ ქიზიყის ყველა სოფლის მღვდლებს წაებაძოთ იმათთვის ერის ზნეობა-გონების წარმატებისა და ეკკლესიის ეზო მიდამოთა სისუფთავე-გამშვენებისათვის.

*** სოფ. ნიგოითი. 17 მაისს აქაურ ორ-კლასიან სასწავლებლის დარბაზში წარმოდგენა იყო გამართული ჩვენის უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოადგინეს „მონადირე“, „რაც არ მერგება, არ შემერგება“, და აკაკის ვოდევილი ერთ სცენად პირუტყვების არჩევანზედ. წარმოდგენაში სხვათა შორის მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის მეოთხე განყოფილების მოსწავლეთ. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა და დიდად ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება. დარბაზი სავსე იყო ხალხით, მაგრამ შემოსავალი-კი მცირეა. სულ შემოვიდა 29 მან. 40 კაპ. და ხარჯს გარდა დარჩა 23 მან., რომელიც გადადებულ იქმნა უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ. მადლობის ღირსნი არიან თეო და ნინო კალანდარაშვილები წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისათვის, თავ. ალექსანდრე მაჭუტაძე ბილეთების გაყიდვისა და მამასახლისი კოწია გოგეშვილი — შესაფერ დახმარების აღმოჩენისათვის.

*** ახალციხისა და ახალქალაქის საქალაქო სასწავლებლებისა და ქვემო-მაჩხაანის სასოფლო სასწავლებელის სახელოსნო კლასსების შესანახად გადადებულ იქმნა 3,000 მან.

*** საბჭოს მკურნალმა ქ-ნმა ფომინა ოსიპოვისამ ამ დღეებში დაათვალიერა გოგირდის აბანოები, ამასთან აღმოაჩინა, რომ ვარანცოვის ქუჩაზედ თამამშევის აბანო, რომელიც იჯარით სტეფანოვსა აქვს აღებული, აბანოს ქუჩაზედ მირზოევისა, საიჯარადრო სიკიასოვისა, და იმავე ქუჩაზედ თავ. ბებუთოვის აბანო, საიჯარადრო იგიტხანოვისა, ანტი-სანიტარულ მდგომარეობაში ყოფილან. ამის გამო შესაფერი ოქმი შეადგინა და ამ აბანოების იჯარადრები პასუხის-გებაში იქმნენ მიცემულნი.

*** ტფილისის მოქალაქემ გიორგი ჰილაძემ გამოუცხადა პოლიციას, რომ 27 მაისს, საღამოს 10 საათზედ, იარმუკაში ჩხუბის დროს ვიღაც დავითმა, რომლის გვარიც არ ვიცი, დანით ზურგში დამჭრაო. ჰილაძე მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს, ხოლო დამნაშავის ძებნას შეუდგნენ.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ წარადგინა დასამტკიცებლად პროექტი იმის შესახებ, რომ რიონზედ გადებულ რკინის ხიდის სიგრძეს 30 საჟენი მიემატოსო.

## კიდევ და კიდევ სოფლის მასწავლებლის მდგომარეობის შესახებ.

ამ საგნის შესახებ იმდენი რამ დაწერილა, რომ თითქმის მოსწყინდა კიდეც მკითხველს მისი მოსმენა; მაგრამ რას იზამ?! ვიდრე მასწავლებელს პატრონი არ გამოუჩნდება, იგი ვალდებულია მუდამ შესტიროს და შესჩივლოს საზოგადოებას თვისი სვე-ბედი. მართლაც-და რა ჰქნას სოფ. მასწავლებელმა?! ყველა იმას უბღვერის, ყველა მისი მბრძანებელია, სოფლის მამასახლისიც-კი მისი ბატონია. წელიწადში ერთხელ მაინც არ დაეკითხება მასწავლებელს, შემატყობინეო, გშიან, გცივა, ყველაფრით ხარ დაკმაყოფილებულიო? ბევრი იტყვის, მასწავლებელს სხვათა მოუთხოვნელად, თითონაც შეუძლიან შეატყობინოს, ვისიც ჯერ არს, თავისი გაჭირვებაო, მაგრამ რა გამოვა! შეატყობინებს, მოწერილობა მოვა და სადმე სოფლის სასამართლოში დალპება. მორჩა და გათავდა.

დალოცვილ ბოქაულებსა ერთხელაც არის არ მოაგონდებათ, რომ თავიანთ ბრძანებას მიუმატონ ქვეყნის სასარგებლო ეს ორი სიტყვაც: „მასწავლებელიც დააკმაყოფილეთო“. ვთქვათ, ახლა ჯამაგირის მიუღებლობით მოთმინებიდგან გამოსულმა მასწავლებელმა იჩივლა ბოქაულთან. ის მაშინვე მისწერს მამასახლისს; „ფიცხლად მიეცი ფული მასწავლებელსაო“. სასამართლოში, როგორც კი ჰნახავს ამას სოფლის „მოსე მწერალი“, ერთს სიტყვას, სახელდობრ „ფიცხლად“-ს, მაშინვე შეასრულებს; ესე იგი „ფიცხლად“ დაჰმალავს მოწერილობას. მამასახლისს არც კი ეტყვის, მასწავლებელს უჩივლიაო, რადგანაც ამისი სურვილია ჯერ თითონ მიიღოს. თუნდაც უთხრას მამასახლისს, არც ის აქცევს ყურადღებას.

მასწავლებელი ელის პასუხს... იგი მეორედ სჩივის, მესამედაც... მაგრამ არაფერი გამოდის. ბოლოს ისევ, როდესაც ძალიან გაუჭირდება, შესტირის ბ-ნს მამასახლისს და ეუბნება: „ოღონდაც მომეცი ფული და შენც გიწილადებო“. მაშინ-კი, იცოცხლე, მამასახლისი დაფაცურდეს. ყოველ მხრიდგან შეჰყრის ფულის შემგროვებლებს და მისცემს ფულს მასწავლებელს. ის ამ ფულებს მეორე დღესვე მოვალეებს დაურიგებს და დარჩება ისევ ცალიერი, თუმცა ცოტა მხიარული, რომ მოვალეები აღარ აწუხებენ. ამის შემდეგ ბევრჯელ შეხვდება საწყალს, რომ როდესაც კლასში შევა და სულითა და გულით მოწადინებულია ბავშვებს შეასწავლოს რამე, უცბად მოაგონდება, რომ დღეს არა უჭამია-რა და სადილადაც არაფერი აქვს და, აბა იფიქრეთ, რაღას ასწავლის ცალიერი მუცლით და უიმედო მომავლით. ხშირად ჟურნალ-გაზეთებშიაც უსაყვედურებენ: განუვითარებელია, თავისი საქმე კარგად ვერ მიჰყავს ამა და ამ მასწავლებელსაო. ის-კი არ იციან იმ ვაჟბატონებმა, რომ მასწავლებელი, როგორც ყოველი კაცი, თუ ყველაფრით დაკმაყოფილებული არ არის, რაც უნდა განვითარებული და მომზადებული იყოს, რიგიანად ვერ აასრულებს თავისს მოვალეობას. მისი აწინდელი მდგომარეობა ნათლად გვაჩვენებს, რომ მას ეჭირვება ქონებრივად გაუმჯობესება და წახალისება და არა კიცხვა-გმობა, მეტი ღონე არ არის, ჯერჯერობით მასწავლებელმა უნდა ისევ გმირულს მოთმინებას მისცეს თავი და ებრძოლოს ყოველსავე განსაცდელს იმ იმედით, რომ ოდესმე იმისკენაც გადმოიხედავს ვინმე და მის მდგომარეობას გააუმჯობესებს, რასაკვირველია, თუ ეს ბედნიერი დრო დადგა, მაშინ უფრო გულიანად შეუდგება იგი მომავალ-თაობის აღზრდას.

ვანო გიუნაშვილი

## „წ.—კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობის საყურადღებოდ

დიდად სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ საზოგადოების წევრთა უმეტესობას არ შეაქვს საწევრო ფული. დიდი უსამართლობა იქმნება, რომ წევრთ გულგრილობა დავწამოთ. ეს რომ ასე იყოს, მაშინ არც წევრად ჩაეწერებოდა ვინმე, ვინ ეხვეწებოდა, ვინ ატანდა ძალას? აშკარაა, ყოველს წევრს სავსებით შეგნებული ჰქონია უწმიდესი დანიშნულება ამ საზოგადოებისა, აღძრია წრფელი, მამულიშვილური სიყვარული საზოგადოების ტრაპეზზედ მოეტანა თვისი წვლილი ყოველ წლიურათ უმცროს მოძმეთა სასარგებლოდ. ხოლო თუ თავისს წვლილს ვერ იხდის, ვერ ასრულებს თავისს დაპირებას, უეჭველია ყოველს წევრს საპატიო მიზეზიც რამ ეპოება. ერთს მიზეზთაგანს შეადგენს საწევრო ფულის ფოსტით გამოგზავნა. მოგეხსენებათ, ამ ჩვენს ხელმოკლეობის დროს მრავალ წევრთათვის სამძიმოა საწევრო ფულის ერთად გაღება, ხოლო ნაწილ-ნაწილ გზავნა მოითხოვს მეტს ფოსტის ხარჯს, დროსა და მოცლას; გარდა ამისა, ზოგიერთს წევრს თავმოყვარეობა ანუ სხვა რამ გარემოება ნებას არ აძლევს ჰგზავნოს ნაწილ-ნაწილად და მით ამცნოს თვის ნაცნობთ, რომ მან ვერ შეიძლო საწევრო ფულის ერთად გადახდა. დიახ, გაჭირვებული გახლავართ, მაგრამ ამ გარემოებაშიაც მახსოვს, რომ წევრი ვარ, მახსოვს ჩემი ვალი და აი, დღეს მიირთვით ეს ერთი მანეთი, ორის-სამის თვის შემდეგაც დიდის სიამოვნებით მოგართმევთ კიდევ ერთს, ან ორ მანეთს და დანარჩენსაც წლის დამლევამდე, მაგრამ, მაპატიეთ, ამ ჩემს გაჭირვებას არავის შევატყობინებ, გაზეთით ქვეყანას არ ვამცნობ. სულ სხვაა მეზობლად რომ იყოს „წ.-კ. საზოგადოების“ აგენტი, როცა და რამდენსაც მოვახერხებ მივცემ; იმას როგორ დავუმალო ჩემი გარემოება, ან როგორ დაემალება!.. თუ ერთის წლის საწევრო ვალი ვერ გარდავიხადე, ორის სამის და მეტისას ხომ უფრო ვერ გადავიხდი თუნდა წელიწადში, ერთხელ-კი არა, ყოველ თვეც რომ გამახსენოთ. (იხ. 1897 წ. ანგარიში, გვ. 46.)

ამიტომ დიდად დაგვავალებს უპატივცემულესი გამგეობა ხსენებულის საზოგადოებისა, თუ იგი შეიძენს ყოველს ქალაქსა და დაბა-სოფელში, საცა-კი სამი-ოთხი და მეტი წევრი ჰყავთ, ერთი მათგანი აგენტად იყოლიონ, რომელსაც გარდავცემთ საწევრო ფულს და მივიღებთ ამის ბარათს. ამით, იმის გარდა, რომ ძველ წევრთ გაუადვილდებათ ვალის გარდახდა, ფოსტის ხარჯს ასცდებიან, ბევრი ახალი წევრიც შეემატება საზოგადოებას. აგენტობას, მე ვგონებ, ყოველი წევრი იკისრებს სიამოვნებით, მით უმეტეს, რომ არავითარი შრომა არ დასჭირდება. გამგეობისაგან ექმნება აგენტს დაბეჭდილი ბარათებიანი წიგნაკი, რომლიდგანაც ფულის მიმცემს მისცემს ბარათს და წელიწადში სამ გზის ოთხს გზის წარუგზავნის გამგეობას მიღებულს ფულს, ხოლო თვით წიგნაკს წელიწადში ერთხელ შესამოწმებლად. ესაა და ეს. გარწმუნებთ, აგენტს გახსენებაც კი არ დასჭირდება, საკმაო იქმნება მასთან შეხვედრაც, ესეც მოაგონებს წევრს თვის ვალდებულებას.

ამას გარდა, ძალიან კარგი იქმნებოდა, რომ ამავე აგენტებს მიეცეთ საზოგადოების ბეჭედი და ნება, რომ მათი თუნდა ორის წევრის თანადასწრებით შეეძლოთ ყულაბების დახსნა და უკანვე დაბრუნება წელიწადში ერთხელ, რასაკვირველია, თავისს ნაწილში. მოგეხსენებათ, რომ არც ამ ყულაბების დაბრუნებაა ადვილი. ასე გაადვილება საქმისა ყულაბასაც უეჭველია მეტს მსურველს შესძენს.

ვგონებ, არც ის იქმნება ურიგო, რომ გამგეობამ წ.—კ. საზოგადოებისამ შეიძინოს ახალნი წევრნი წლიურად 3 მან. გადასახადით და ამ წევრთ თუნდა „წევრნი თანამგრძნობელნი“ უწოდოს, ამით, ეჭვი არ არის, დიდ-ძალს ახალს წევრს შეიძენს.

ივანე ზედგინიძე

# ფელეტონი

## ნაწყვეტი

გულის სიღრმეში იმედი
ნელ-ნელა ძლიერდებაო,
ნუ გეშინიანთ, ჩაგრულნო,
თქვენთვისაც გათენდებაო...
სიყვარული სძლევს სიძულილს,
ერთობა დამყარდებაო,
ძალ-მომრეობა გაჰქრება,
ცხოვრება აჰყვავდებაო.

ვ. რ.

## წერილები ინგლისიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისა)

### ვილლიამ ევარტ გლადსტონი

„ჩვენის საუკუნის დიდებული საპოლიტიკო მოღვაწე ცოცხალ ინგლისელთა რიცხვში აღარ ითვლებაო!“ ამ სიტყვებით აუწყა ლორდმა სოლსბერიმ ლორდთა პალატას გლადსტონის გარდაცვალება. „ის იყო მთელი ქვეყნის უპირველესის საკანონმდებლო კრების უშესანიშნავესი წევრი“, განაცხადა პარლამენტში კონსერვატორულ მთავრობის სახელით ბალფურმა. „მსოფლიოს არ შეუძლიან ჯერ-ჯერობით მეორე ამისთანა კაცი წამოაყენოს“, სთქვა განთქმულმა მოგზაურმა და კონსერვატორმა დეპუტატმა სტენლიმ.

თუ საპოლიტიკო მოწინააღმდეგენი აწ განსვენებულის „დიდებულის მოხუცისა“ ასეთის სიტყვებით და ასე აღტაცებით იხსენიებს იმას, ადვილი წარმოსადგენია — რა მწუხარებასა და დარდს უნდა მისცემოდნენ იმის მომხრეები, საზოგადოება და მთლად ერი, რომლისთვისაც განსვენებულმა მეტი სიკეთე დასთესა და გააკეთა, ვიდრე ურიცხვმა შესანიშნავმა რეფორმატორებმა ინგლისსა და სხვა სახელმწიფოებში გააკეთეს. ყოველი დასი, ყოველის წოდებისა და თანამდებობის კაცი ერთ ხმად სტირის ამ უდიდესის მოქალაქის, უძლურთა და ჩაგრულთა თავ-გამოდებულის, მამაცის დამცველის დაკარგვას, ყველა ჰკლოვობს სამუდამოდ განშორებას უპირველესის სახელმწიფო მოღვაწისა და საპოლიტიკო ორატორისას, რომელმაც „გააპატიოსნა პოლიტიკა და აღამაღლა პარლამენტი“; სტირის დიდად პატიოსანის, თავ-მდაბალის, სულიერად განსპეტაკებულის კაცის დაკლებას, სტირიან და იგონებენ გლადსტონს თითქმის წარმოუდგენელ შრომისათვის, იმის გამოულეველ გულ-კეთილობისა, თანაგრძნობისა და სიყვარულისათვის ყველასადმი, წოდებისა და ეროვნების განურჩევლად და განსაკუთრებულ დაჩაგრულ ერთა უფლების გულ მხურვალე დაცვისა და მფარველობისათვის; ერთა, რომელთათვისაც მან, როგორც კაცმა და სახელმწიფო მოღვაწემ, ასე ბევრი იმოქმედა და იღვაწა.

გლადსტონის ბუნებისაგან მეტად დაჯილდოვებულს და უნაკლულო პიროვნებას დიდი გავლენა ჰქონდა განათლებულის ქვეყნის მთელ თაობებზედ, იგი აპატიოსნებდა და აკეთილშობილებდა ინგლისისა და მთელის ქვეყნის დასთა და მთავრობის გაუმაძღარ ანგარ მისწრაფებასა და მიმართულებას. „უდიდეს ინტერეს ჩემის საპარლამენტო მოღვაწეობისას, ამბობს ტომას ელლისი, შეადგენდა ის, რომ გლადსტონის სახისათვის თვალი არ მომეშორებინა. ეს სახე მხიბლავდა, როგორც ზღვა გამომეტყველების სიმდიდრით და სხვა და სხვაობით, გრძნობათა სიღრმითა და ძლიერებით. ყოველგვარი მოძრაობა გლადსტონის დიადის სულისა აშკარად იხატებოდა და იბეჭდებოდა იმის მშვენიერსა და სიცოცხლით სავსე სახეზედ...“ „არ დაბადებულა ქვეყანაზედ კაცი, ამბობს ლორდი როზბერი, რომელსაც ისე შესძლებოდა მთელის თავისის გონებისა და სულის ძალ ღონით მოეკიდა ხელი საქმისათვის, როგორც ეს გლადსტონს შეეძლო. არა ყოფილა ინგლისის ისტორიაში მოღვაწე, რომელიც ისე სხვა-და-სხვა მხრივ და ღრმად შეჰხებოდა ერის გონებითს და სულიერ ცხოვრებას, როგორც გლადსტონი შეეხო... იმის ხასიათის განსაკუთრებულსა და უმთავრესს თვისებას შეადგენდა სამსოფლიო, საკაცობრიობო თანაგრძნობა. მე იმ სიყვარულისა და თანაგრძნობის შესახებ-კი არ ვამბობ, რომელსაც ის დაჩაგრულ ერთ უცხადებდა, და არც იმ თავგამოდების შესახებ, რა თავგამოდებითაც იგი კაცობრიობის მაღალსა და დიადს საქმეებს ემსახურებოდა... არა, მე ვამბობ იმ დიდად მჭიდრო სიყვარულსა და ნდობის შესახებ, რომელიც ჰსუფევდა გლადსტონსა და ყველა წრის კაცთა შორის. მახსოვს, ერთხელ, დიდის მიტინგის შამდეგ, ერთი ღარიბი კაცი როგორ მივარდა გლადსტონს და უთხრა: „გმადლობთ, სერ, იმ სიტყვისათვის, რომლითაც თქვენ სამუშაო სახლში დაპატიმრებულთ მიჰმართეთ“. სიყვარული იმის ხასიათის საძირკველს შეადგენდა“. „გლადსტონის ყოფა-ქცევა პარლამენტში, სულ ერთია მთავრობის მეთაურად იყო იგი, თუ მოწინააღმდეგე დასში ირიცხებოდა, — სთქვა სერმა გარკუტმა, — აღბეჭდილია სიდიადით. ის სხვებს ისე სცემდა პატივს, როგორც თავისს თავს; გულ-კეთილობით ყველას იმორჩილებდა... დიდი გავლენა ჰქონდა გლადსტონს აგრეთვე სამშობლოზედაც. შეუძლებელია კაცმა აღნიშნოს და დააფასოს, რა დიდად

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ს ი ტ ყ ვ ა,

წარმოთქმული ბ-ნ ი. ფანცხავას მიერ ჩვენის მგოსნის გიორგი ქოჩაკიძის გვამის მოსვენების დროს ქ. ფოთში.

მარადის დაუვიწყარო, საყვარელო მგოსანო!

ერთს თვეზედ მეტი იქნება, რაც დეპეშამ მთელის ქართველობის დამასევდიანებელი ამბავი მოგვიტანა: ქ. მინსკშიო გიორგი ქოჩაქიძე გარდაიცვალაო. ამ მოკლე ამბავმა მთელი ქართველობა დაამგლოვიარა და ძაძაში გაახვია. ვინ იცის, რამდენი ვინ კვდება დღე მუდამ და მარად ჟამს... ხშირად ჩვენის, ფრიად დახალოვებულის ნაცნობისა და ნათესავის სიკვდილსა და გარდაცვ`ლებასაც-კი გავიგონებთ ხოლმე. მაგრამ ეს ისე როდი დაგვაღონებს, როდი დაგვასევდიანებს. თავს მალე ვინუგეშებთ იმითი, რომ ვიტყვით, ყველა სიკვდილის შვილი ვართო. სულ სხვა გვარად იმოქმედა მინსკიდგან მოსულმა ამბავმა: ყოველი ჩვენგანი ღრმათ შეაშფოთა და ყოველმა ჩვენგანმა დაჰგმო და შეაჩვენა გულგრილობა და დაუნდობელი ძლევამოსილება ბუნების ძალთა მხოლოდ იმიტომ, რომ სიკვდილმა, სრულიად ჩვეულებრივმა და აუცილებელმა ძალამ ყოველისავე იმისათვის, რაც-კი სულდგმულობს და სცოცხლობს, რაც-კი აზროვნებს და ჰფიქრობს, რასაც-კი უყვარს და სძულს,—წარგვტაცა გიორგი ქოჩაქიძე და ეს ვიგრძენით მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ საკვდილმა გიორგი წარგვტაცა. არა ეს ვიგრძენით უმთავრესად იმიტომ, რომ სიკვდილმა თვისი შავი ხელები მძლავრად შემოჰხვია და თავისს ცივს გულ-მკერდზედ სამარადისოდ მიისვენა გრძნობით აღსავსე მგოსანი ქალადიდელი, ის ქალადიდელი, რომელიც ამ ოცდა-ათის წლის წინად ჩვენს საზოგდო ცხოვრებაში ჩაერია და, თუმცა მოკლე ხნით, მაგრამ მაინც ღრმა კვალი აღბეჭდა ყოველ ქართველის გულში გრძნობითა და მხურვალე რწმენით სავსე, მარგალიტებრ ჩამოსხმულის ლექსებით და ხომ მოგეხსენებათ, რომ

„რაც ერთხელ ცხოვლათ სულს დააჩნდების,
„საშვილიშვილოდ გარდაეცემის".

ეს შენი ღვაწლი, საშვილიშვილოდ გადმოცემული, იყო მიზეზი, რომ მადლიერი ერი შენი შეშფოთდა, როდესაც გაიგო შენი სიკვდილი, შენი გარდაცვალება.

შენ სწორედ იმ დღეს დაიწყე მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზზე, როცა ცხოვრებამ ჯაჭვი მონობისა სამარადისოდ გასწყვიტა და ახალს გზას შეუდგა ახალის სასოებითა და ახალის რწმენით. ახალ გზაზე შემდგარს ახალს ცხოვრებას, უეჭველია, ახალის რწმენის მეთაურნი და მომქმედნი დასჭირდებოდა. ერთი ასეთი მომქმედთაგანი იყავი შენც და სწორედ მხარი დაუმშვენე იმათ, რომელნიც შენთან ერთად ამ „დიდის საქმის" სამსახურს შეუდგნენ. ბუნების მიერ შენდამი მონიჭებულმა მადლმა ხომ ჩინებული და საუკეთესო საშუალება აღგარჩევინა, რათა შენის აზრისათვის მიგელწია და სამშობლოს სასარგებლოდ გემოღვაწნა. ვგულისხმობ შენს სუბუქსა და ხმა-ტკბილს ჩანგს, რომელიც მხოლოდ სიწმინდესა და სიყვარულს ავრცელებდა, და ამით შენ უპირატესობა მიეცი სიტყვითა და ენით მოქმედებას, რადგან კარგად იცოდი, რომ „ხმალზედ უფრო ძლიერად სჭრის, პატარა და რბილი ენა". კარგადა ჰგრძნობდი, რომ ცხოვრების სანატრელის გზით წარსამართავად და საყვარელის სამშობლოს სასიქადულოდ ორი რამ აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენდა: ღრმა და საფუძვლიანი სწავლა-მეცნიერება და მედგარი გულ-გაუტეხელობა. საფუძვლიანი ცოდნა საჭირო იყო იმიტომ, რომ უმეცრება და უგუნურება მოსპობილიყო, რაიც ცხოვრების განვითარების და ადამიანიაბის შეგნებას ძალზედ ხელს უშლიდა. მედგარი გულ-გაუტეხლობა კი იმიტომ იყო აუცილებლად საჭირო, რომ ახალ კალაპოტში სადენათ ჩამდგარს ახალს ცხოვრებას ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდებოდა, ბევრი მავნე ძალი წინააღუდგებოდა. აქ, მაშასადამე, შებრძოლება აუცილებელი შეიქმნებოდა, ამ შებრძოლებაში კი მოსალოდნელი როდი იყო, ყოველთვის სიმართლესა და ჭეშმარიტებას დაეძლია; საფიქრებელი იყო, რომ დროებით მავნე ძალა გაიმარჯვებდა და, თუ არ სიმტკიცე და მედგრობა ხასიათისა, შესაძლებელი შეიქნებოდა ამ დროებით მარცხს მოღვაწე, ახალის ცხოვრების სულის ჩამდგმელი გაელაჩრებია და გული გაეტეხნა. ეს კი ხომ ღალატი იქნებოდა საყვარელის სამშობლოსა და ახალის ცხოვრებისა და აი სწორეთ ამ ჰანგზედ აჟღერე ჩანგი შენი. შენის ჩანგის ნიშნობლივი თვისება ის არის, რომ სამშობლო თავ-დავიწყებამდე უყვარს და ყოველივე და ყველაფერი მხოლოდ მისდა სადიდებლად და სალხენად უნდა. თვით მთვარესაც-კი იმას ემუდარებოდი, რომ მას, ამ ცივსა და მრგვალს ბურთს, ცაში კანდელად ჩამოკიდებულს, სამშობლო ჰყვარებოდა, ე. ი. სამშობლოსათვის მეტი სინათლე და სხივი მიეფინა; და „მტრისა გულისა საკლავად საქართველო" გაეხარებინა. სამშობლოს სასიქადულოდ და სადიდებლად მოქმედებაში მოღვაწეს არ უნდა ჰქონდეს რისამე შიში და რიდი, იგი ყველაფერში დაუზარებელი უნდა იყოს. მთელმა საქართველომ ზეპირად იცის და ყოველ დღეს სასოებით იმღერის შენს ლექს „დედასთან გამოთხოვებას". დიდის გრძნობითა და ძლიერებით ჰხატავ იმ ჟამს, როდესაც ბავშვი, ნორჩი ყრმა თვალცრემლიანი ეთხოვება დედას, რადგან იგი სასწავლებელში წასაყვანად მომზადებულია და შორსა გზასა გასამგზავრებელი. ყველას გამოცდილი გვაქვს და ამიტომ ყველამ კარგად ვიცით, თუ რა ძნელია ბავშვისათვის ეს გამოთხოვება, დედის დაშორება. მაგრამ ესევე გამოთხოვება დედისათვის უფრო ძნელი. ამისდა მიუხედავად, ეს დედა, ეს სუსტი არსება, რომელიც გრძნობისა სრული მონა და მორჩილი უნდა ყოფილიყო; იმოდენად მედგარის ხასიათისაა და მაგარის გულისაა, რომ გრძნობა გონიერებას დაუმორჩილა, შვილის სიყვარული—სამშობლოს სიყვარულს, და შვილი ამ სიტყვებით ანუგეშა:

„გიყვარდეს სწავლა გულ-მოდგინებით,
„შრომა და ტანჯვა ნუ გეზარება,
„თუ შენი შრომა და შენი სწავლა
„სამშობლოს რადმე გამოადგება."

თვით შენ ისე ძლიერ გიყვარდა სამშობლო, რომ დარწმუნებით ამბობდი, სამშობლოს ფიქრსა და ზრუნვას საფლავშიაც-კი უეჭველად განვიცდიო და ამ გრძნობას იქაც არ გავშორდებიო. საფლავშიაც რომ ვდნებოდეო, მაშინაც დარწმუნებული ვარ, რომ საფლავს ამოვარღვევ და ქართლოსის შვილთა საზოგადო ფერხულში მეც მონაწილეობას მივიღებო, თუ-კი აყვავებულ სამშობლოს მოვესწრებიო. შენ გულის სიღრმიდგან ბეჯითად ამბობდი, რომ

„გამაცოცხლე, მანატრე, თუნდ საფლავში ვდნებოდე,
„აყვავებულ სამშობლოს თუ კი მოვესწრებოდე".

ასე დიდი და ღრმა იყო შენში, მარადის სახსოვარო მგოსანო, სამშობლოს სიყვარული. მაგრამ ეს სიყვარული, ეს წრფელი და გულითადი გრძნობა როდი გიბრმავებდა თვალებს და როდი გიჩრდილავდა ბევრსა და ნამდვილ ნაკლულევანებას შენი სამშობლოისას, კარგად იცოდი და დარწმუნებულიც იყავი, რომ მრავალს საუკუნეს მრუდე გზით მავალ სამშობლოს ბევრგან ეტყობოდა უსწორ-მასწორობა, მისი ზედაპირი ხორკლიანი შექმნილიყო. ბეჯითადვე იცოდი, რომ მრუდე გზით შენი საყვარელი სამშობლო ბევრგან გაემრუდებინათ. ამიტომ შენთვის ნათელსავით ცხადი იყო, რომ ხორკლების მოსაკვეთად და გამრუდებულის გასასწორებლად ცხოვრებისა და სამშობლოს გაშალაშინება აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენდა. ეს კი დურგალს, ე. ი. შენა და შენს მეგობართა და ამხანაგთა მტკიცე წრეს უნდა ეკისრა და ცხოვრების ხორკლებისა და სიმრუდისათვის თავისი შალაშინი შეუპოვრათ გაესვა და გამოესვა. ცხადია, საყვარელო მგოსანო, სამშობლოს ღრმა და გულითადი სიყვარული გასულდგმულებდა. ამ საყვარელის არსების სადიდებლად-კი ერთად-ერთ იარაღად და საიმედო საშუალებად მიგაჩნდა მისთვის ერთგული და მუყაითი შრომა დურგლისა.

მაგრამ ხანგრძლივი არ იყო შენი სამსახური. დროთა ვითარებამ და იმ გარემოებამ, რომ შენ სრულიად განსაკუთრებული სწავლა გქონდა მიღებული, რომელიც შენი სამშობლოსათვის ისეთ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა, იგი „მშვიდობისა და მოქალაქობის" გზას ადგა,—გაიძულა სამშობლო არე დაგეტოვებინა და უცხოეთში გარდახვეწილად გეცხოვრა. უეჭველია, ეს გარემოება ფრიად დიდის მნიშვნელობისა იყო შენს ცხოვრებაში. იქნება ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ ხმა ტკბილი ჟღერა შენის ჩანგისა ასე მალე შესწყდა, ახლა-კი ეს წუთი სოფელიც ისე უდროვოდ განუტევე.

მშვიდობით, მარადის სახსოვარო, საყვარელო მგოსანო! განისვენე ნეტარებით, რადგან ამ სოფლად მოვალეობა შენი პირ ნათლად და უბიწოდ შეასრულე კაცთა და სამშობლოს წინაშე.

მშვიდობით, sit tibi terra levis.

# რუსეთი

—

სახელმწიფო ბანკი აცხადებს საყოველთაოდ, რომ რადგან ამ ჟამად ყალბი ქაღალდის ხუთ-მანათიანები გავრცელდა, ამიტომ ამ ყალბ ფულის თავიდგან ასაცდენად ყოველმა, ვისაც-კი ქაღალდის ხუთ-მანეთიანი ექმნება, უნდა დააჩქაროს და შესცვალოს ოქროს ფულით ბანკის კასსებში, საიდგანაც ამ წლის მარტის თვიდგან აღარავის არ ეძლევა ქაღალდის ხუთ-მანეთიანებიო.

— ამ ჟამად სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ყოველ ეპარქიაში დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული საზღვევი თანხა ეკკლესიებისა და სამღვდელოთა სახლების ცეცხლისაგან უზრუნველ-საყოფელადო.

— საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ კერძო საშუალო სასწავლებელი შეიძლება იქონიოს ისეთმა კაცმა, რომელსაც უმაღლესი სწავლა არა აქვს მიღებული, იმ პირობით, თუ სასწავლებლის დირექტორად დანიშნულ იქმნება შესაფერ სწავლა-ცოდნის პატრონი კაციო.

ჰმოქმედებდა ინგლისის ხალხის ცხოვრებასა და ზნეობაზედ იმისი შეუმწიკვლელი წყნარი სიცოცხლე და საზოგადო მოღვაწეობა. გლადსტონის ხანგრძლივი ცხოვრება ერთი განუწყვეტელი გაკვეთილია. არ არის ჩვენს ქვეყანაში ისეთი ქოხი, რომლის მცხოვრებლებმაც არ იცოდნენ გლადსტონის ყველა სათნოება. ამ ქოხების მკვიდრთ უწყიან, რომ გლადსტონს გული ჩაგრულთა, ღარიბთა და უძლურთათვის უცემდა. უწყიან ისიც, რა ბევრს ეწვალა გლადსტონი მთელ თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში მათის ბედის განკარგებისა და გაუმჯობესებისათვის. უწყიან ყველა ეს და კიდეც ამიტომ ჰგრძნობენ, რა დიდი კავშირია მათ და დიდებულს კაცს შორის. არც საკვირველია,—იმის სიყვარული და თანაგრძნობა განუსაზღვრელი იყო. იმისს გულში დაბუდებული გრძნობა მხოლოდ იმას-ღა იყო მონატრული, რომ ყველას თავისს სამშობლოში მშვიდობიანად და თავისუფლად ეცხოვრა და დედამიწის ზურგზედ ყველა ხალხსა და ერს შორის კეთილ-განწყობილება ყოფილიყო... და უკანასკნელი ლოცვა-ვედრებაც მოხუცისა ის იყო, რომ ხალხთა შორის სიყვარული და ერთობა დამკვიდრებულიყო".

ამ მტრებსა და მეგობრებთან ერთად გლადსტონის გარდაცვალებამ აალაპარაკა დედამიწის სხვა მრავალი ხალხი და ერიც. მათ შორის პირველმა რუსეთის იმპერატორმა აღიმაღლა ხმა და დეპეშა გაუგზავნა ქ-ნს გლადსტონს. „მთელი განათლებული ქვეყანა, სწერს იმპერატორი, იგლოვებს გარდაცვალებას დიდებულის სახელმწიფო მოღვაწისას, რომლის პოლიტიკური აზრ-შეხედულებანი ისეთის ღრმა კაცობრიულის სიყვარულით იყო გამსჭვალულიო".

„ჩვენ ცოცხლად ვგრძნობთ და კარგად გვახსოვს ის მეგობრული გრძნობანი ბელგიის მიმართ, რომელსაც დიდებული მოხუცი გულში ატარებდაო," დეპეშით სწერს ბელგიის მეფე ლეოპოლდი.

„იტალია არასოდეს არ დაივიწყებს იმ უანგარო სიყვარულსა და გულმხურვალე დახმარებას, რომელიც გლადსტონმა ჩვენს ხალხს აღმოუჩინა თავისუფლებისათვის ბრძოლის დროს," განაცხადა იტალიის კონსერვატორულმა სამინისტრომ.

„ჩვენ ვგლოვობთ დიდებულის ელლინისტის და საბერძნეთის მეგობრის გარდაცვალებას,"-სწერია საბერძნეთიდგან მოსულს ოფიციალურს დეპეშებში. განსაკუთრებით დიდად სწუხან და სტირიან იონიის კუნძულების მცხოვრებელნი „მათის განმათავისუფლებლის" გარდაცვალებისა გამო. როგორც მეგობარსა და მოსარჩლეს, გლადსტონს იგონებს ბოლგარია, სერბია, კრიტი, სომხები, ვენგრია. რუმინიის სენატი სტირის თავისის დამცველის, მეგობრისა და საუკეთესო მოქალაქის *) დაკარგვას. ჩერნოგორიის მთავარმა თავისის ერის სახელით განაცხადა, რომ დიდებულის მოხუცის ხსოვნა ჩერნოგორიის ყველა მცხოვრებლისთვის წმიდა და დაუვიწყარი იქნება იმ გამოსარჩლებისათვის, რომელიც გლადსტონმა იმას აღმოუჩინა; ყველა მოწიწებითა და პატივით მოიგონებს შესანიშნავ სიტყვებს „Hands off!"—„შორს ხელი!," რომლითაც მან შეჰყვირა მტარვალ და მადა-გაუმაძღარ ოსმალეთს. კრიტის მცხოვრებელნი, ამერიკელნი...

მაგრამ განა საკმაო არ არის, რაც უკვე ვთქვით? განა ყოველივე ზემოდ აღნიშნულ ერთა, სახელმწიფოთა და მმართველთა წრფელის გულით წარმოთქმული სიტყვები საკმაოდ არ ჰმოწმობს, რა დიდებულის ხასიათის პატრონი იყო ეს შესანიშნავი შეშის მჭრელი და მინისტრი? რა უკვდავი ღვაწლი გაუწია მან თავისუფლების საქმეს? იქნება ყველა ეს ქება-დიდება გაზვიადებულია? ოო, არა, მკითხველო! არც ერთს დეპეშას სიმართლისთვის, ჭეშმარიტებისთვის არ გარდაუხვევია; პირ-იქით, ნახევრადაც ვერ აღნიშნეს და სთქვეს ის, რაც მართლა გააკეთა და შესძინა ქვეყანას აწ განსვენებულმა. შემდეგს წერილში მე მოკლედ მოვუთხრობ მკითხველს იმ ღვაწლსა და შრომას, რაც მან გაუწია კაცობრიობას, განსაკუთრებით დაჩაგრულ ერთა, რომელთა განთავისუფლებისთვისაც ის არაფერსა ჰზოგავდა. ეხლა-კი აქ მხოლოდ ერთს რასმეს აღვნიშნავ.

დიდებულია ცხოვრებაში ის, ვინც თავისის სიკვდილითაც-კი მთელის განათლებულის კაცობრიობის გულში აღძრა გრძნობა სიყვარულისა, ერთობისა და ჭეშმარიტებისა: უკვე ხუთი დღე იქმნება, რაც განათლებული ქვეყანა ჰლაპარაკობს მეზობლისა, დაჩაგრულთა და ტანჯულთა მიმართ სიყვარულით გამსჭვალულის ენით; მმართველთა, მწერალთა და მოლაპარაკეთა სიტყვები სავსეა დაჩაგრულ ერთა და წოდებათა მიმართ სიმართლისა და უფლების დიდებულის სიტყვებით.

და ეს დიდად კაცთ-მოყვარე, ზნეობრივი მისწრაფება აღძრა სიკვდილმა დიდებულის მებრძოლისამ... აი, ესა ჰქმნის მას უკვდავად მარტო ინგლისისა-კი არა, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორიაში.

ვ. მარველი

*) იმ ღვაწლის მადლობის ნიშნად, რომელიც გლადსტონმა რუმინიისთვის გასწია, რუმინიის სენატმა და პალატამ ერთ-ხმად რუმინიის მოქალაქედ აირჩიეს იგი.

# უცხოეთი

—

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** არ იქმნა ამერიკელებმა ვერ მოაწყეს თავიანთი ჯარი. გაზ. „Kreuz-Zeitung“ იუწყება, ისე დღე არ გაივლის, რომ ბანაკებში არეულობა და რამე უწესოება არ მოხდესო. ოფიცრობა ხომ საშინლად არის გარცელებული. ერთ ფერმერს ჯარის კაცებმა ეტლი და ცხენები მოჰპარეს. როდესაც დაზარალებული საჩივლელად რაზმის უფროსთან წავიდა, ამ უკანასკნელმა ლანძღვა-გინებით გააგდო ფერმერი. ჯარში არავითარი წესი და რიგი არა სუფევს. ერთმა ჯარის-კაცმა თავისს უფროსს, პოლკოვნიკს გრანტს სთხოვა, დედა ავად გამიხდა და შინ გამიშვიო, პოლკოვნიკმა უარი უთხრა; მაშინ გაბრაზებულმა ჯარის-კაცმა მიუგო: სულ ერთია დამითხოვ თუ არა, მე მაინც წავალო. პოლკოვნიკმა უბრძანა, ჯარის-კაცისათვის იარაღი აეყარათ და ჯარიდგან გაეგდოთ. როდესაც ამ განკარგულების სისრულეში მოყვანას შეუდგნენ, სხვა ჯარის-კაცებიც ჩაერივნენ საქმეში და აფიცრებს ჩხუბი დაუწყეს. დასასრულ პოლკოვნიკმა დამნაშავე არამც-თუ არ გააგდო, არამედ რამდენისამე დღით შინაც დაითხოვა. მეორე შემთხვევა ამაზედ უფრო უცნაურია. ერთი ჯარის-კაცი რაზმის უფროსთან მივიდა და პირ-და-პირ გამოუცხადა, მე მომბეზრდა ჯარის კაცად ყოფნა, აღარ მინდა ასეთი სამსახური და ბრძოლისაც მალიან მეშინიან, ამიტომ სახლში უნდა დავბრუნდეო. აფიცრებმა გადასწყვიტეს, დაითხოვონ, რადგანაც იმისაგან არასოდეს კარგი ჯარის-კაცი არ გამოვაო. ევროპის ჯარის-კაცმა, რომ ასეთი რამეები ჩაიდინოს, იმას იმწამსვე დახვრეტავენ ან კიდევ რამე დიდ სასჯელს გადაუწყვეტავენ, ამერიკაში-კი ყურადღებასაც არ აქცევენ. არც გასაკვირველია! ამერიკელებმა არც-კი იციან, რა არის სამხედრო სამსახური. იმოდენა უზარ-მაზარ სახელმწიფოს, როგორიც არის შეერთებულის შტატების რესპუბლიკა, მხოლოდ 30,000 ჯარის-კაცი ჰყავს და ისიც ჯამაგირით. უბრალო ჯარის-კაცი იქ ჩვენებურ მოხელეზედ მეტს იღებს. აშკარაა ასეთ განაზებულ ჯარის კაცს თუ კარგად არ აჭამე, არ ასვი და არ ჩააცვი, ერთ აყალმაყალს ასტეხავს. ასეთი არიან ჯარის-კაცები, ხოლო თავისუფალ მეომრებზედ რაღა ითქმის! ამ უკანასკნელებისათვის საკმარისია აფიცერმა მაღალი სიტყვა უთხრას, რომ ჯარს თავი მიანებონ და შინისაკენ გაიქცნენ. თავისუფლებას მიჩვეული ამერიკელი ჯარის წეს-რიგს ვერ შეეჩვევა. გაცილებით უფრო კარგად აქვთ ამერიკელებს მოწყობილი თავიანთი ფლოტი, ამერიკელებს დიდი ვაჭრობა აქვთ სხვა ქვეყნებთან, ზღვაში სიარული ხშირად უხდებათ და ამიტომ კარგი ზღვაოსნები არიან. გარდა ამისა მთავრობის ფლოტს მეტად დიდს ყურადღებას აქცევენ.

— დეპეშამ უკვე გვაუწყა სანტ-იაგოში მომხდარ ბრძოლის შესახებ, მაგრამ დაწვრილებით ჯერ არაფერი არ ისმის. აქაც, როგორც ყველა სხვა [illegible] უკით, სიმართლე უფრო ამერიკელების მხარეს უნდა იყოს. ადმირალმა სამპსონმა და შლეიმ თითქმის სულ გაანადგურეს სანტ-იაგოს მახლობლად მდებარე რამდენიმე სიმაგრე, ესპანიის გემები დააზიანეს, 10 მათი ჯარის-კაცი მოჰკლეს და 12 დასჭრეს და ჯარი ნაპირზედაც გადასხეს. თუ ეს ამბავი მართალია, ამერიკელებს სანტ-იაგოს დაპყრობა აღარ გაუჭირდებათ. ამ ქალაქს ხმელეთიდგანა და ზღვიდგან დაეცემიან. ორი დღის წინ გაზეთებმა ამბავი მოიტანეს, რომ მთავრობამ 20,000 ჯარის-კაცი გაჰგზავნა კუბაშიო. ამ ჯარს სამპსონის ესკადრა უნდა გაჰყოლოდა. სამპსონის ესკადრა ამ ჟამად, როგორც დეპეშიდგანა სჩანს, სანტ-იაგოშია, მაშასადამე ჯარიც იქ იქმნება და ეხლა უთუოდ ნაპირზედ სხამენ. ვნახოთ, შემდეგი დეპეშა რა ამბავს მოიტანს.

## ნაკვესი

—

სანეფო ჰკითხავს დანიშნულს.

— მაშ თქვენ ამბობთ, რომ მამათქვენს კარგი მამული აქვს კახეთში?

— მამულიცა აქვს, ტყე, ვენახები.

— მერე და მაგის შემდეგ კიდევ ეჭვი გაქვთ, რომ საშინლად მიყვარხართ!..

**ახლად გამოგონილი „ელექტრო-ეკონომიზატორი“ (ანუ ელექტრო-ტეხნიკური მანქანა) ბ-ნ ტეხნიკ ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილის მიერ**

ქ. პეტერბურგში ამ ჟამად ბ-ნ ა. ი. ჯავახიშვილის მიერ გამოგონილ ახალ მანქანებმა რომ დიდი ყურადღება მიიქცივა და მრავალი ელექტრო-ტეხნიკი ინჟინრები გააკვირვა, ამას თქმა არ უნდა. ან კი როგორ არ არის საკვირველი, რომ ამ მოკლე ხანში ორი ისეთი სრულიად ახალ-ახალი ელექტრო-ტეხნიკური მანქანები გამოიგონა, რომ ყველა მნახველი აღტაცებაში მოჰყავს. ერთი მანქანაა რკინის გზებზედ მატარებლების უბედურ შემთხვევების ასაცდენლად, რომელიც ამას წინად უკვე გვქონდა აწერილი გაზეთ „ივერიის“ № 75-ში. ეხლა ეს მანქანები შეკვეთილი აქვს აქაურ გამოჩენილ ქარხნის პატრონს ბ-ნს ვოსადლოს, რომელმაც ამ მოკლე ხანში უნდა დაამზადოს მრავალი და დაერიგებათ რკინის გზებზედ სახმარებლად. აი კიდევ ამის შემდეგ ახლად გამოიგონა ბ-ნ ჯავახიშვილმა ეს მეორე „ელექტრო-ეკონომიზატორი“ მანქანა: თუ რა მანქანაა ეს მეორე, ამასაც მოგახსენებთ, მხოლოდ ვიდრე ამ მანქანის ღირსების შესახებ ვიტყოდეთ რასმე, პირველად მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას საზოგადოთ ელექტრონულ განათების შესახებ, რადგანაც ეს ახალი მანქანა სწორედ ამისთვის არის გამოგონილი; როგორც ყველამ უწყით, საზოგადოთ ელოქტრონული განათება დღეს ყველგან და ყველასათვის სანატრელი რამ გამხდარა, რადგანაც ყველა დარწმუნდა, რომ წინანდელ ყოველგვარ სხვა-და-სხვა განათებებს ეს ბევრათ სჯობია ღირსებით, ამიტომაც საითაც მიიხედ-მოიხედავთ მთელი ქვეყნიერობის ზურგზედ ყველა იმას ნატრობს, ნეტა როდის გველირსება ჩვენლაო, რომ სხვებსავით ამ ელექტრონით გავინათოთ სახლები თუ ქუჩებიო. თუმცა ეს ასეა, მაგრამ როგორც ვხედავთ, სამწუხაროდ ამ ელექტრონულ ღირსებას ისეთი რამ დაჰყვა თან ნაკლულევანებაც, [illegible] ვალთათვის ყოვლად შეუძლებელი ხდება თითქმის. ამ სიძვირემ, ბევრი სწავლული სპეციალისტი დააფიქრა და განიძრახეს ისეთი რამ გამოეგონებინათ საშუალება, რომლის ძალითაც შესაძლებელი ყოფილიყო მისი გაადვილება და ისე გაიაფება, რომ შეძლებულთა და შეუძლებელთათვისაც ერთ-გვარი ხელ-მისაწდომი ყოფილიყო. ბევრი იფიქრეს აქამდის, მაგრამ, მაინც ყველას ცდამ და ნატვრამ სულ ამაოდ ჩაიარა აქნობამდის და ისეთი ვერავინ რა გამოიგონა. ბ-ნ ა. ი. ჯავახიშვილმა აი სწორეთ ისეთი სანატრელი რამ მოიგონა, როგორიც სწორეთ საჭირო იყო. ამ ახლად გამოგონილ მანქანის საშუალებით ჯერ ერთი, რომ ბევრად გაადვილდება ელექტრონული განათების საქმე და მეორეც ისა, რომ ერთი ათად გაიაფდება კიდეც.—განა, რომ კარგი რამ არის. მაგალითად, დღეს აქნობამდის, როგორც ვიცით, და გამოკვლეულია საზოგადოდ, ვარაუდით ყველგან 2 ლამპარის განათება ელექტრონით თითო საათში ჯდება $3^1/_2$ კაპეიკიდგან დაწყებული ვიდრე 5 კაპეიკამდის და აი ამ ახალ მანქანის საშუალებით-კი სწორედ ამ ფასად არა თუ ორის ლამპრის, არამედ ოცის (20) ლამპრის განათება შეიძლება (გამოცდილებამ უკვე დაგვანახვა). როგორც ჰხედავთ, ელექტრონული განათება ერთი ათად ნაკლები ეღირება ჩვეულებრივზედ და ეს განა ხუმრობა საქმეა? ამ ახალი მანქანის ღირსება იმაშია, რომ ისეთ ნაირად არის მომართული, რომ თავისის მსწრაფლის და ჩქარის მოქმედებით ისეთი ძალა ემატება, რომ ერთ წუთში თხუთმეტჯერ გარბის-გამორბის მავთულებში და აქრობს და ანთებს ყოველ მომართულ ლამპრებს. ის ერთი ლამპრის ძალა, რომელიც მხოლოდ ერთის ლამპარისთვის უნდა იყოს, ამ მანქანის ჩქარის მოქმედების გამო, ხან ერთში გარბის და ხან მეორეში, ხან მესამეში და ასე ყველგან ათ ლამპარში გადად-გადმოდის ისეთის სისწრაფით, რომ ადამიანის თვალი ამას ვერაგზით ვერ შეასწრობს დ ვერ დაინახამს, თუ როგორ რიგრიგად და ჯერ-ჯერობით ლამპრებს აქრობს და ანთებს კაცს ასე ჰგონია, სხვა-და-სხვა ლამპარში სულ სხვა და სხვა ძალით გამუდმებით ანთიაო, ნამდვილათ-კი, როგორც ზევითა ვსთქვით, მხოლოდ ერთის ლამპის ძალა ანთებს ყველას. მაგალითად, ვისაც ჰსურს დარწმუნდეს, რომ ეს ერთი და იგივე სინათლე სხვა და სხვა ლამპრებში მართლა გადადის თუ არა, ამისათვის საკმარისია მხოლოდ, რომ ეს მანქანა ჩვეულებრივზედ ცოტა მძიმედ ამუშაოთ, ანუ ატრიალოთ, ამ დროს ყველა ცხადად დაინახავს, როგორ პეპელასავით ფრინავს, ერთიდგან მეორეში და იქიდგან სხვებში, ე. ი. ერთში რომ ქრება, მეორეში ენთება და ასე ყველგან. აი ამ მანქანის მოგონების დღიდგან, ყოველ ცისმარე დღეს გამოულევლად მოდიან მრავალნი მნახველნი „ნევსკი პროსპექტზედ“ სახლი 51, რომელიც ბ-ნ ჯავახიშვილის მიერ არის განათებული ელექტრონით. სხვათა შორის აი ამ დღეებში გაშინჯეს და დაათვალიერეს შემდეგ სპეციალისტებმა ეს ახალი მანქანა. საფრანგეთის საუკეთესო „კრეზოს“ ფირმის წარმომადგენელმა ელექტრო-ტეხნიკ-ინჟინერმა, აქაურმა პროფესორმა ბ-ნ ლაჩინოვმა, ელექტრო ტეხნიკ „გელიოსის“ აქციონერ საზოგადოების დირექტორმა ბ ნ ტროიცკიმ, სახელმწიფო სასახლების გამნათებელ ელექტრო-ტეხნიკ ინჟინერმა და სხვა... მრავალმა, ამ მანქანის დემონსტრაციის (გამოცდის) შემდეგ დიდად მოიწონა და ერთობ ქება უძღვნა ბ-ნ ტეხნიკ ა. ი. ჯავახიშვილს ასეთი საქებური და საკვირველი მანქანის გამოგონებისათვის, რომელსაც დაერქვა სახელად „ელექტრო-ეკონომიზატორი“. ყველამ ის აზრი წარმოსთქვა, რომ ამ ახალ მანქანას დიდი მნიშვნელობა ექმნება როგორადაც ტეხნიკურის მხრივ, აგრეთვე უფრო უმეტესათ, რაიცა აშკარადა სჩანს, ეკონომიურის მხრივაცო. ეს ახალი მანქანა ერთის მხრივ კიდევ საინტერესო იმითიც არის, რომ ბ-ნ ა. ი. ჯავახიშვილმა თავისის ამხანაგის ბ-ნ რამანოვის დახმარებით [illegible] თესის გაკეთებას, რომლითაც უფრო ადვილათ უჩვენებენ ყველას და გააცნობენ მის დიდს მნიშვნელობას. რუსეთისათვის უკვე აიღეს პატენტი, ე. ი. ნებართვის მოწმობა და საზღვარ გარეთაც სხვა და სხვა სახელმწიფოებში გაჰგზავნეს ნების ასაღებათ.

შაქრო ი. ვაჩნაძე

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

29 მაისი

**მადრიდი.** მანილიდგან მოსული ოფიციალური დეპეშა იუწყება: „საქმეთა მდგომარეობა მეტად გაჭირვებულია. აგვინალდომ შესძლო და დანიშნულ დღისთვის მთელი მხარე ფეხზედ დააყენა. რადგან ტელეგრაფის მავთულები და რკინის გზის ლიანდაგები გაფუჭებულია, პროვინციას მოწყვეტილი ვარ. კავიტეს პროვინცია ამბოხებას აქვს მოცული. ქალაქები და სოფლები თოფის სროლაშია და დაჭერილი აქვთ შეიარაღებულ ბრბოთ. ჯარის ერთი ნაწილი იცავს ზამპეს, რომ მტერს მანილის პროვინციაში ფეხი არ შეადგმევინოს. თუ მტერი ბალაიანსა, ლაგუნსა, მორონში შევიდა, ეს ჯარი ალყა-შემორტყმული იქმნება ზღვიდგანა და ხმელეთიდგან. ვცდილობ მკვიდრთა შეგულიანებასა და ყოველსავე ღონესა ვხმარობ მტრის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ადგილობრივ თავისის ნებით ჯარში შემოსულ მკვიდრთ-კი არ ვენდობი. ვაკომორი, იმუსი მტრის ხელშია. რევოლიუცია ძლიერია და თუ ქვეყანა არ მომემხრო, ჩემი ძალ-ღონე არა კმარა ორის მეტოქის გასამკლავებლად“. დეპეშას 3 ივნისი აწერია რიცხვად.

**ლონდონი.** ვაშინგტონიდგან იუწყებიან, რომ ამერიკის ჯარი, გენერალის შაფტერის წინამძღოლობით, უკვე წავიდა ზღვით ტამპში. იგი შესდგება 27,000 კაცისაგან, სახელდობრ: 16 რაზმი გაწვრთნილი ჯარია, 11 რაზმი თავის ნებით ჯარში შესულთა კაცია, 5 ესკადრონი ცხენოსან ჯარისა, 4 ბატარეია სუმბუქ არტილერიისა და 2 ბატარეია მძიმესი და 1 ბატალიონი საპიორებისა. ჯარი პარასკევს ან შაბათს უნდა მიუახლოვდეს სანტ-იაგოს.

**მადრიდი.** საგასტამ მოითხოვა, რომ საქმეთა ვითარების ასე გამწვავების გამო ფილიპპეს კუნძულებზე ხარჯთ-აღრიცხვა დაუყოვნებლივ უნდა იქმნას შეწყნარებული და ამიტომ პალატა არ დაიშალოსო. სალმერონი, რობლედო და ბარრიო წინაამდეგნი იყვნენ სხდომის დაწყებისა. იქ იყვნენ ყველა დეპუტატები, სენატორები და მინისტრები. საგასტამ სთქვა, რომ ისპანია მამაცურის სიმშვიდით უნდა დახვდეს ცუდს ამბებსაო, და დასძინა, რომ მთავრობამ, კავიტესთან მომხდარ უბედურების შემდეგ, მხოლოდ სამი დეპეშა მიიღო, ეს დეპეშები გვიმტკიცებს, რომ საგერად აუგოსტას საკმაო საშუალება აქვს და ამასთანავე ის იმედი ასულდგმულებს, რომ მკვიდრნი მიეხმარებიან. რობლედომ განაცხადა, რომ მთავრობა უმოქმედოდ არის, ეგერ 39 დღემ განვლო და ჯერ [illegible] დავდგომივართო. მე წინააღმდეგი ვარ სამარცხვინო მორიგებისაო. საგასტამ უპასუხა, რომ მთავრობა არ არის პასუხის მგებელი არც იმისი, რაც ფილიპპეს კუნძულებზედ მოხდა, და არც ადმირალის სერვერის მიერ ამორჩეულ ის გზისა. „მთავრობამაო, დასძინა მინისტრმა, ის მოიმოქმედა, რის გამოქვეყნება და გამჟღავნებაც არ შეუძლიანო“.

**ლონდონი.** ვაშინგტონიდგან იცნობებიან, რომ სანტ იაგოს ერთს ციხე სიმაგრეზედ ამერიკის დროშა ჰფრიალებსო.

**ნიუ-იორკი.** „Herald“-ი იუწყება ჯანკსოვილიდგან, რომ შაფტერის ჯარი ტამპიდგან გავიდა 2 [illegible] გემით. ჯარმა თ ნ სამის თვის საგზალი წაიღოო.

**პეტერბურგი.** 25 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც თურქესტანისა, კავკასიისა და ორენბურგის სამხედრო ოლქების ჯარებმა ხივა დაიპყრეს. ამ ამბის სახსოვარ საყოფლად ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა: 1) თურქესტანის უმთავრესს ქალაქებში გარდახდილ იქმნას სადღესასწაულო პარაკლისები და აგრეთვე პანაშვიდი ხივას ბრძოლაში დახოცილთა სულის მოსახსენებლად; 2) 29 მაისს ცარსკოე სელოში ინახულოს განსაკუთრებულს დარბაზობაზედ 40 კაცი, რომელთაც ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიუღიათ.

სამხედრო სამინისტროს მმართველისაგან გაეგზავნა გენერალ-ადიუტანტს გრაფ მილიუტინს წერილი, რომ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და განსაკუთრებულის მადლობით მოიხსენია გრაფის მილიუტინის შრომა ამ ისტორიულ შემთხვევის მოსამზადებლადაო.

### წერილი რედაქციის მიმართ

—

უგულითადესს მადლობას ვუძღვნი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელმაც შემოსწირა ჯურუყვეთის სამრევლო სკოლასთან დაარსებულს სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს ოც-და ხუთის მანეთის ქართული წიგნები. აგრეთვე ბ-ნ კოწია თავართქილაძეს, იაგორ ანთაძეს, ერმილე გიგინეიშვილს და რაბიდონ მურვანიძეს, რომელთაგან პირველმა შემოსწირა იმავე სამკითხველოს ცხრამეტი სხვა-და-სხვა ქართული წიგნაკები, ხოლო უკასასკნელმა სამმა—თითო მანეთი.

სამკითხველოს გამგე მღვდელი ეპიფანე ჩხაიძე


# განცხადებანი

**„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

აქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
| --- | --- | --- |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . | „ | 20 |


Дозволено цензурою, Тифлисъ 29-го Мая 1898 г.

სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.